



ევროპული სასამართლო ელოდება საქართველოს პასუხს მშვიდობიანი დემონსტრანტების ადმინისტრაციული წესით დასჯასთან დაკავშირებით

გამოქვეყნების თარიღი: 2016 წლის 14 სექტემბერი

2016 წლის 14 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მთავრობასთან [კომუნიკაცია დაიწყო მშვიდობიანი დემონსტრანტების დაკავებასთან დაკავშირებით](#), რომლებიც მონაწილეობდნენ საქართველოს დედაქალაქში ფართომასშტაბიანი სამშენებლო პროექტის, “პანორამა თბილისის” წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო დემონსტრაციაში. მომჩივნებს წარმოადგენენ მიდლსექსის უნივერსიტეტის [“ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი”](#) და [“საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”](#) (თბილისი).

“პანორამა თბილისის” პროექტი ითვალისწინებდა ძველი თბილისის შუაგულში რამოდენიმე მდიდრული სასტუმროსა და ბიზნეს ცენტრის მშენებლობას, რომლებიც ერთმანეთს საბაგირო გზით დაუკავშირდებოდა. პროექტის ერთ-ერთი მთავარი ინვესტორი იყო საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი. პროექტის მოწინააღმდეგეები აცხადებდნენ, რომ სამშენებლო სამუშაოები გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა ძველ თბილისსა და თბილისის უნიკალურ ლანდშაფტს.

განმცხადებლები, რამოდენიმე ასეულ დემონსტრანტთან ერთად, თბილისის საკრებულოს შენობასთან შეიკრიბნენ 2015 წლის 19 ივლისს, რათა გამოეხატათ თავიანთი პროტესტი “პანორამა თბილისის” პროექტის წინააღმდეგ. ერთ-ერთ განმცხადებელს ეჭირა ბანერი, რომელზე არსებული წარწერითაც პროექტი მამაკაცის სასქესო ორგანოსან იყო შედარებული, თუმცა, აღნიშნული პირი ამ ან სხვა რაიმე ლოზუნგს ხმამაღლა არ სკანდირებდა. ნახევარი საათის შემდეგ იგი პოლიციის მთავარ სამმართველოში იქნა გადაყვანილი. სოლიდარობის ნიშნად, დანარჩენმა ექვსმა მომჩივანმა იგივე სლოგანი დაწერა ქაღალდის ფურცელზე. მოხდა მათი დაკავებაც (სამ სხვა შემთხვევითი ნიშნით დაკავებულ დემონსტრანტთან ერთად). შვიდივე მომჩივანს ბრალად დაედო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა მსუბუქი ფორმით (ადმინისტრაციული დარღვევა) და დაეკისრათ 100 ლარის ოდენობის ჯარიმა (დაახლ. 40 ევრო). თბილისის საქალაქო სასამართლომ განაცხადა, რომ დემონსტრანტების მიერ გამოყენებული სიტყვა წარმოადგენდა სრულ უხამსობას და მოკლებული იყო რაიმე პოლიტიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო ღირებულებას; მას არანაირი წვლილი არ შეჰქონდა საზოგადოებრივ დისკუსიაში, არამედ, წარმოადგენდა საზოგადოების უპატივცემულობის გამომხატველ შეურაცხყოფას.

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მომჩივნები აცხადებენ, რომ მათი დაკავებითა და დაჯარიმებით მათ წინააღმდეგ დაირღვა



გამოხატვის თავისუფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი), ვინაიდან მათი დაკავება მოხდა პლაკატებზე განთავსებული სლოგანის გამო. ისინი აგრეთვე მიუთითებენ შეკრებისა და ასოციაციის თავისუფლების დარღვევაზე (კონვენციის მე-11 მუხლი), ვინაიდან მათ არ მიეცათ საშუალება, პროექტ პანორამას წინააღმდეგ მშვიდობიანად გამოეხატათ პროტესტი.

საქმე ევროპის სასამართლოში 2016 წლის 12 იანვარს იქნა შეტანილი, ხოლო სასამართლომ მთავრობასთან კომუნიკაცია სულ რაღაც 8 თვის შემდეგ დაიწყო. საქმე შეეხება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებსა და ზღვარს სიტყვის თავისუფლებასა და სხვის შეურაცხყოფას შორის. მთავრობამ საკუთარი არგუმენტები სასამართლოს 2017 წლის იანვრამდე უნდა წარუდგინოს, რის შემდეგაც მომჩივნებს მიეცემათ პასუხის გაცემის შესაძლებლობა.

ტეგები:

- 2016
- შეკრებისა და ასოციაციის თავისუფლება
- გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება
- საქართველო
- სამართალწარმოება
- პროტესტი